კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

<u>სტუდენტური ინიციატივების დაფინანსების წესი</u>

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში - "უნივერსიტეტი") სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსების პირობებსა და პროცედურას.

1.2. წესის მიზანია:

ა) სტუდენტური აქტივობის ხელშეწყობა;

ბ) აკადემიური, პროფესიული და სოციალური განვითარების მხარდაჭერა;

გ) გამჭვირვალე და სამართლიანი დაფინანსების მექანიზმის უზრუნველყოფა.

1.3. დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში, რომელიც გამოიყოფა ერთი აკადემიური წლისთვის და თანაბრად ნაწილდება 2 სემესტრზე.

მუხლი 2. დაფინანსების უფლების მქონე პირები

2.1. დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვთ უნივერსიტეტის აქტიური სტატუსის სტუდენტებს - ინდივიდუალურად ან ჯგუფურად.

2.2. ჯგუფური ინიციატივის შემთხვევაში განისაზღვრება პასუხისმგებელი პირი (პროექტის ხელმძღვანელი), რომელიც წარმოადგენს პროექტს და პასუხისმგებელია ანგარიშგებაზე.

მუხლი 3. განაცხადის წარდგენის წესი

3.1. სტუდენტური ინიციატივა წარმოდგენილი უნდა იყოს სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღის ვადაში.

3.2. განაცხადი უნდა მოიცავდეს:

ა) პროექტის სახელწოდებას;

ბ) მიზანსა და ამოცანებს;

გ) განხორციელების ვადებს;

დ) მოსალოდნელ შედეგებს;

ე) დეტალურ ბიუჯეტს - თანხის მიღების რეკვიზიტებთან ერთად;

ვ) პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაციას.

3.3. განაცხადი წარედგინება სტუდენტური სერვისების სამსახურს ელექტრონული შესაბამისი განაცხადის ფორმით (დანართი 1).

მუხლი 4. შეფასების სამუშაო ჯგუფი

4.1. წარმოდგენილ ინიციატივებს განიხილავს სპეციალური სამუშაო ჯგუფი.

4.2. სამუშაო ჯგუფი შედგება 5 წევრისგან:

ა) ფაკულტეტის საბჭოს 2 (ორი) სტუდენტი წევრი;

ბ) 1 (ერთი) წარმომადგენელი სტუდენტური სერვისების სამსახურისგან;

გ) 1 (ერთი) წარმომადგენელი აკადემიური პერსონალიდან (განსაზღვრავს ფაკულტეტის დეკანი).

დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

4.3. სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით და ფორმდება შესაბამისი ოქმით.

მუხლი 5. შეფასების კრიტერიუმები

5.1 ინიციატივა ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

ა) შესაბამისობა უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებთან;

ბ) სტუდენტური ჩართულობის დონე;

გ) პრაქტიკული ღირებულება სტუდენტებისთვის;

დ) ბიუჯეტის რეალისტურობა და მიზნობრიობა;

ე) განხორციელების შესაძლებლობა განსაზღვრულ ვადებში.

მუხლი 6. რიგგარეშე ინიციატივები

6.1. განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია რიგგარეშე ინიციატივის განხილვა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.

6.2. რიგგარეშე განხილვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ინიციატივა ობიექტურად ვერ იქნებოდა წარმოდგენილი დადგენილ ვადაში;

ბ) პროექტს გააჩნია განსაკუთრებული მნიშვნელობა;

გ) ბიუჯეტში დარჩენილია აუთვისებელი თანხა.

მუხლი 7. დაფინანსების ოდენობა და ლიმიტი

7.1. ერთ სტუდენტურ ინიციატივაზე გამოყოფილი დაფინანსების მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 1000 (ათას) ლარს.

7.2. ერთსა და იმავე სემესტრში ერთი და იგივე პასუხისმგებელი პირის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ერთი პროექტის დაფინანსება, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც სამუშაო ჯგუფი სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს.

მუხლი 8. დაფინანსების გაცემისა და ანგარიშგების წესი

8.1. დაფინანსება გაიცემა წინასწარი გადარიცხვის ფორმით, სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებისა საფუძველზე.

8.3. შესაბამისი განცხადების ფორმის წარმოდგენით, პასუხისმგებელი პირი:

ა) ადასტურებს თანხის მიზნობრივი გამოყენების ვალდებულებას;

ბ) იღებს ვალდებულებას არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევაში თანხის სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნებაზე;

8.4. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში პროექტის ხელმძღვანელი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) შინაარსობრივი ანგარიში;

ბ) ხარჯის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტები (ინვოისები, ქვითრები და სხვა შესაბამისი საბუთები).

8.5. არამიზნობრივად გამოყენებული თანხა ექვემდებარება უნივერსიტეტის ბიუჯეტში დაბრუნებას.

მუხლი 9. ინტერესთა კონფლიქტი

9.1. სამუშაო ჯგუფის წევრი არ მონაწილეობს იმ ინიციატივის განხილვაში, რომელშიც თავად ან მასთან დაკავშირებული პირი მონაწილეობს.

9.2. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

მუხლი 10. გამჭვირვალობა და საჯაროობა

10.1. დაფინანსებული პროექტების სია ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

10.2. გამოქვეყნებას ექვემდებარება:

ა) პროექტის სახელწოდება;

ბ) პროექტის მოკლე აღწერა.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წესი ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის მიერ დამტკიცებისთანავე.

11.2. წესში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.